



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 01

29 იანვარი 2021 წელი

ქ. ბაღდათი

11:00 საათი

2021 წლის 29 იანვარს გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე, ნოდარ გიორგიძე ირინა ტყემელაშვილი, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, დიომიდე კვიციანიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, გურამი კვიციანიძე, გვანცა გრძელიძე, თემურ მინაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, მურად ბურჯანაძე სიმონ ჭოლოკავა, გაბრიელ ღებრაძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, შადიმან გორგოძე, ზაზა ზვიზივაძე, მამუკა გორგოძე, შალვა დათუაძე, მაია კბილაშვილი, ალექსი ლომინაშვილი, თეონა ფახურიძე, რუსუდან გეწაძე, კობა მშვილდაძე.

საკრებულოს წევრები: სულ 25 წევრი.

არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები: ვლადიმერ წიქორიძე, გიორგი რობაქიძე, მაკა მესხი, ირაკლი გოგსაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ვაჟა ჯუღელი- მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი.

მარეხი მშვენიერაძე - მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი.

მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

მამუკა ხურციძე - მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი

საკრებულოს აპარატის უფროსი- ნოდარ ებანოიძე.

ნათია ცისკაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში.

ირინე აბაიშვილი- საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურდიულ და გენდერული თანასწორობის საკითხებში.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 25 წევრმა, დაესწრო 25 საკრებულოს წევრი.

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე, შალვა მშვილდაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1., „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს. გვანცა გრძელიძე - საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2021 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე - საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

3. მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში „მუნიციპალიტეტში წვევამდელთა აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ“.

მომხს. მალხაზ მშვილდაძე - მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე - საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ.

მომხს. გვანცა გრძელიძე - საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

9. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ.

მომხს. მირიან ფულარიანი - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 25 წინააღმდეგი - 0 **კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25 საკრებულოს წევრმა**

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. „ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გვანცა გრძელიძე-საკრებულოს იურდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მან აღნიშნა, რომ „დადგენილება, რომელიც მიღებული იყო გასული წლის ბოლო სხდომაზე მთავრობის ადმინისტრაციაში არსებული ზედამხედველობის სამსახურის მიერ იქნა შესწავლილი და აღმოჩენილი იქნა რიგი უზუსტობანი და ტექნიკური ხასიათის ხარვეზები“. როგორც გ. გრძელიძემ აღნიშნა საკრებულო კომისიამ სრულად გაიზიარა მითითებული შენიშვნები და მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურთან ერთად გასწორებული იქნა.

აზრი გამოთქვა და სათანადო განმარტებები გააკეთა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსმა ვაჟა ჯულელმა.

საკრებულო ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 1 29.01.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწვეტილება მიღებულია

მომხრე- 25 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25 საკრებულოს წევრმა

მ ო ს მ ი ნ ე ს : 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის 2021 წლის პროგრამა და სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.

გ. გრძელიძე - როგორც მან განმარტა, ანალოგიური სახის შენიშვნები ჰქონდა ზედამხედველობის სამსახურს N24 დადგენილებასთან, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურთან ერთად გასწორდა და საკრებულოს სხდომაზე გამოდის დასამტკიცებლად. როგორც **გ. გრძელიძემ** აღნიშნა პროგრამაში ცვლილება ვერ განხორციელდა იმის გამო, რომ მუხლები იყო თავიდან დასანომრი და ხდება პროგრამის თავიდან დამტკიცება.

აზრი გამოთქვა და სათანადო განმარტებები გააკეთა მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსმა მარეხი მშვენიერაძემ.

საკრებულო ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 2 29.01.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწვეტილება მიღებულია

მომხრე- 25 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25 საკრებულოს წევრმა

მ ო ს მ ი ნ ე ს : 3. მუნიციპალიტეტის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის ანგარიში „მუნიციპალიტეტში წვევამდელთა აღრიცხვისა და გაწვევის კუთხით გაწეული მუშაობის შესახებ“

სამსახურის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა მალხაზ მშვილდაძემ - მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა.

აზრი გამოთქვეს: **გ. გრძელიძემ, ნ. გიორგიძემ, ი. ტყემელაშვილმა, შალვა მშვილდაძემ**
ი. ტყემელაშვილი- მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, იგი დაინტერესდა მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სამსახური თუ ატარებდა პატრიოტულ თემებზე რაიმე საუბრებს, რა მუშაობა ტარდება სკოლის მოსწავლეთა დაინტერესების ასამაღლებლად ჯარის მიმართ.

მ. მშვილდაძემ უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო გვანცა გრძელიძემ-კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ **გადაწყვიტა:**

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42 1 29.01.2021წ (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-25 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 25 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 4. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ.

განკარგულების პროექტი ბიუროს წევრებს წარუდგინა: გვანცა გრძელიძემ-საკრებულოს იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად საკრებულო ამტკიცებს კვოტას შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობის თაობაზე.

აზრი გამოთქვა: შ. მშვილდაძემ

საკრებულოს სხდომამ **გადაწყვიტა:**

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42 2 29.01.2021წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:

მომხრე-25 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 25 საკრებულოს წევრი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 5. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირებულ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე გამოწერილი საჯარიმო ქვითრის საჯაროდ გამოქვეყნების წესის დამტკიცების შესახებ.

დადგენილების პროექტი წარმოადგინა: გვანცა გრძელიძე - საკრებულოს იურიდიული და საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად მომზადებული იქნა აღნიშნული დადგენილება.

აზრი გამოთქვეს: ფრიდონ მაჩიტაძემ, ნოდარ გიორგიძემ, გურამ ჩხეიძემ, შალვა მშვილდაძემ

საკრებულო ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 3 29.01.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია

მომხრე- 25 წინააღმდეგი - 0

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: 6. ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

დადგენილების პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა და აღნიშნა, რომ ყოველი წლის დასაწყისში ხდება საკითხის განახლება, რომ ცვლილება წარმოდგენილ დადგენილებაში არ არის.

საკრებულოს კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო - გია სახამბერიძემ, საკრებულოს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულო ადგენს:

დამტკიცდეს საკრებულოს დადგენილება N 4 29.01.2021წ. (დადგენილება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია
მომხრე- 25 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 25 საკრებულოს წევრმა

მ ო ს მ ი ნ ე ს: 7. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო - სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 3 29.01.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-22 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 22 საკრებულოს წევრი (კენჭისყრაში არ მონაწილეობდა: ა.

ლომინაშვილი, შ. დათუაძე, რ. გეწაძე)

მ ო ს მ ი ნ ე ს: 8. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო - სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 4 29.01.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-22 წინააღმდეგი-0

კენჭისყრაში მონაწილეობდა 22 საკრებულოს წევრი

მ ო ს მ ი ნ ე ს: 9. ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საწყისი სააუქციონო ყოველწლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ

განკარგულების პროექტი წარმოადგინა: მირიან ფულარიანმა - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.

საკრებულოს კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო- სიმონ ჭოლოკავამ, საკრებულოს ეკონომიკის პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ.

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

დამტკიცდეს საკრებულოს განკარგულება N 42 5 29.01.2021 წ. (განკარგულება თან ერთვის)

გადაწყვეტილება მიღებულია:
მომხრე-22 წინააღმდეგი-0
კენჭისყრაში მონაწილეობდა 22 საკრებულოს წევრი

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე:

შალვა მშვილდაძე